ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2640459

ნომერი: AR1407823

თარიღი : 25.05.2016

გაცემის თარიღი : 09.06.2016

გაცნობის თარიღი : 09.06.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აბაშიძე , N 34 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ი. აბაშიძე , N 38 , (ყოფ. ბარნოვის N140) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ტყეშელაშვილი პ/ნ 01016001192
- თბილისი ფონიჭალა 3 კორ. 26 ბ. 67

ორგანიზაცია:

- ვაკე-საბურთალო 2006 კოდი: 205209870

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი #AR1407823 25.05.2016 წ. განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ, ი. აბაშიძის ქუჩა N34, N36 და N38-ის მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის ასაშენებლად დამტკიცებულ Nჭ-1//38 (09.11.2006 წ) ქალაქმშენებლობითი პირობებში ცვლილების განხორციელებას განობებთ,
როგორც უკვე გეცნობათ, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითზე, დამატებით უნდა წარმოადგინოთ ორივე მიწის ნაკვეთის ყველა მესაკუთრის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობები ცვლილების განხორციელების თაობაზე.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განცხადების ჩაბარებიდან 15 დღიანი ვადა მითითებული დოკუმენტების წარმოსადგენად, დანიშნულ ვადაში მოთხოვნილი დოკუმენტის არწარმოდგენის შემთხვევაში, საკითხი დარჩეს განუხილველი.
ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.